



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1754
05/10/2018

ქალაქი ბათუმი

1754-05-4-201810051452



მადონა დავითაძეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლებისა და კულტურის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების II რანგის უფროსზე, მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 5 სამუშაო დღის მიცემისა და ლენა გელაძეზე განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი, მე-3 და მადონა დავითაძის 2018 წლის 05 ოქტომბრის №2899-05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. მადონა დავითაძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლებისა და კულტურის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების II რანგის უფროსს, მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 5 სამუშაო დღე, 2018 წლის 08 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით.

2. ლენა გელაძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლებისა და კულტურის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს - სპორტისა და ტურიზმის საკითხებში, დაეკისროს ამავე განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შესრულება, ამ თანამდებობაზე მომუშავე მადონა დავითაძის ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 08 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოფის საშვებულებო თანხის ანაზღაურება (ავანსის სახით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა